ხელშეკრულება №02/15

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(გამარტივებილი შესყიდვა)

ქ. თბილისი

„3" 01 " 2011წ.

ერთი მხრივ, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის პაატა სულაბერიძის სახით (შემდგომში - "შემსყიდველი") და მეორე მხრივ, **შპს „კომპლექს-სერვისი"** წარმოდგენილი მისი დირექტორის **რიჩარდ მარუაშვილის** სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების შესახებ", სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის №1 ბრძანებით დამტკიცებული დებულების 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქ/პუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საჭიროებისათვის შენობის მოვლა-დასუფთავების მომსახურების შესყიდვა.

2.2 მომსახურების სახე მოცემულია დანართი №1-ში რომელიც დაერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 3803.1 (სამი ათას რვაასსამი ლარი და ათი თეთრი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს".

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1 **მიმწოდებელი** ვალდებულია:

ა) განიხილოს **შემსყიდველის** პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

ბ) განახორციელოს **შემსყიდველის** ინფორმაციული უზრუნველყოფა შესრულებული მომსახურების შესახებ;

გ) უზრუნველყოს მომსახურე პერსონალის ფორმებით, აღჭურვილობით სრულყოფილი მომარაგება;

დ) მომსახურების გაწევა დაიწყოს 2011 წლის 3 იანვრიდან და დაასრულოს 2011 წლის 31 იანვარს. უზრუნველყოს შენობაში, სათაესოებში სანიტარულ-ჰიგიენური (დეზინფექცია, დეზინსექცია, დერატიზაციის ჩათვლით) და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების დაცვა, შენობის და ტერიტორიის ყოველდღიური, ყოველთვიური გენერალური დასუფთავება (ოთახების, ფანჯრების ორმხრივი, კარ-ფანჯრის ჩარჩოების, ფარდაგების, კიბის უჯრედის, სარდაფის, ლიფტის, იატაკის რეცხვა-წმენდა) და ნაგვის გატანა,

ჰიგიენური ხორცების დაცვა, მათ შორის მათი აღჭურვა (ტუალეტის ქაღალდებით, ხელის საშუალო ქაღალდით აპარატის დატვირთვა თვეში ორჯერ, თხევადი საპნებით, ჰაერის გამწმენდი აეროზოლებით);

ე) უზრუნველყოს შენობაში არსებული ელექტრომომარაგების, წყალმომარაგების, კანალიზაციის, გათბობის და სხვა კომუნალური სისტემების გამართული ფუნქციონირება. უზრუნველყოს ჩილერის, დიზელ-გენერატორის, კონდიციონერებისა და გათბობის ქვაბის მოელა-ზედამხედველობა (არსებობის შემთხვევაში). საკუთარი ხარჯებით შეასრულოს მცირე მიმდინარე რემონტი, მცირეფასიანი ელექტრომოწყობილობების, სანგაყვანილობების, სამეურნეო საქონლის შეცვლა–შეკეთება, (ჩამრთველების, საკეტების, ნათურების, სველი წერტილების ინვენტარების, ელექტრო, წყლის, კანალიზაციის, გათბობის და სხვა გაყვანილობების მცირე შეკეთება). გაუფრთხილდეს შემსყიდველის ქონებას, სისტემატიურად შეამოწმოს კომუნალური სისტემების მდგომარეობა და ოპერატიულად, საკუთარი ძალებით და სახსრებით აღმოფხერას ყველა აღმოჩენილი ხარვეზი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საჭიროა კაპიტალური რემონტის ჩატარება;

ვ) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების განხორციელება;

ზ) ხელი უნდა შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას.

4.2 **შემსყიდველი** ვალდებულია:

ა) **უზრუნველყოს** შესრულებული მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის კონტროლი და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება.

ბ) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების განხორციელება.

4. ხარისხი

შესრულებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც მომსახურების გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს სამინისტროს მხრიდან განახორციელებს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს **მთავარი სპეციალისტი ემზარ თორაძე.**

6.3 ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირება გულისხმობს: შესასრულებელი ან/და შესრულებული მომსახურების ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლის განხორციელებას.

6.4 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია, პერიოდულად ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება უხარისხოდ (წუნით, ნაკლით, არაჯეროვნად) შესრულებული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ წერილობით დადგენილ ვადებში გამოასწოროს წუნი, ნაკლი, ხოლო თუ მიმწოდებელი ვერ შეძლებს წუნის, ნაკლის გამოსწორებას და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.5 მიმწოდებელი საკუთარი რესურსებით უზრუნველყოფს შემსყიდველს კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში ან შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით.

7.2 აღნიშნული ხელშეკრულების მიღება-ჩაბარების აქტს ხელს მოაწერს სამინისტროს მხრიდან მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი **ლაშა კახაძე.**

8.ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

8.2 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, მათი წარმოდგენიდან **20 (ოცი)** დღის ვადაში.

8.4 ანგარიშსწორება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 8.3 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებში მითითებული ოდენობის პროპორციულად. თუ ანგარიშსწორება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ან ანგარიშსწორების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს.

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო მოკლე ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ყოველთვიური მომსახურების ღირებულების **0.1%-ის** ოდენობით. მომსახურება შესრულებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემთხვევაში.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.4 პუნქტით გათვალისწინებული წუნის აღმოფხვრისათვის შეტყობინებით დადგენილი ვადის გადაცილების შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო წუნდებული სამუშაოს ღირებულების **0.1%-ის** ოდენობით.

10.3 თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10. დავების გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან **10 (ათი)** დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი

წერილობით 10 (ათი) დღით ადრე.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებულ თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 28 თებერვლამდე.

13. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

14. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი– შემსყიდველს.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42

სახელმწიფო ხაზინა
კოდი: 220101222
ა/ა № 200122900; ს/კ №204564934

მინისტრის პირველი მოადგილე
პაატა სულაბერიძე

მიმწოდებელი

შპს "კომპლექს-სერვისი"
მის: ქ. თბილისი, მაჩაბლის №16

"საქარათველოს ბანკი"-ს ც/ფ
ბანკის კოდი №220101502
ანგარიშის №121793200
საინდ/კოდი №204497179

დირექტორი
რიჩარდ მარუაშვილი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვიზირებულია:

2010 წლის ნოემბერი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 4პუნქტის თანახმად საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ №02/15 ხელშეკრულებით (ერთ პირთან მოლაპარაკება) განხორციელებულ შესყიდვასთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

მინისტრის პირველი მოადგილე _____ ბ.სულაბერიძე

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი _____ ა. ჯებისაშვილი

შესყიდვების სამმართველოს უფროსი მ/შ _____ ი.ჭანტურიძე

საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოს უფროსი _____ ე.ალიმბარაშვილი

მატერიალურ ტექნილური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი _____ ლ.კახაძე